სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ბათუმი .... 2019 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის ---------- სახით და მეორეს მხრივ

..... სახით (შემდგომში მიმწოდებელი), (მიმწოდებლის დასახელება, უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი) ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 80500000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: სატრენინგო მომსახურების (შემდგომში - ტრენინგი) შესყიდვა, დანართი N1-ის შესაბამისად, კერძოდ: აჭარის არ ტერიტორიაზე ქალაქ ბათუმის საფეხმავლო ტურის, ქედის ღვინის მარშრუტისა და მაჭახელას ხეობის მარშრუტზე გიდობის მსურველთათვის სატრენინგო მომსახურება -სულ 70 საათი. ტრენინგი ჩაუტარდება 1 ჯგუფს, ერთი ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 ადამიანი.

თემის დასახელება	სთ -ის რაოდ.
საქართველოს, აჭარის ისტორია (თეორიული კურსი)	5
ეთნოგრაფია (თეორიული კურსი)	3
ქართული ფოლკლორი და კულტურა (თეორიული კურსი)	4
ქ. ბათუმის ქალაქგანაშენიანება და არქიტექტურა (თეორიული კურსი)	3
გიდის ფსიქოლოგია (თეორიული კურსი)	3
ექსკურსიამცოდნეობა. ტურის დაგეგვმა (თეორიული კურსი)	2
ქალაქ ბათუმის საფეხმავლო ტური (პრაქტიკული კურსი)	5
გონიოს ციხე (პრაქტიკული ტური)	3
ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი (პრაქტიკული ტური)	2
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი (პრაქტიკული ტური)	2
აჭარის ხელოვნების მუზეუმი (პრაქტიკული ტური)	2
ძმები ნობელების მუზეუმი (პრაქტიკული ტური)	2
ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პრაქტიკული ტური)	4
პირველადი დახმარება (თეორიული კურსი)	2
ეთნოგრაფიული მუზეუმი (პრაქტიკული ტური)	2
მაჭახელას ხეობის ტურისტული მარშრუტი, ჩხუტუნეთის მუზეუმი (პრაქტიკული ტური)	7
ქედა ღვინის ტური - სოფელ პირველი მაისის (საღორეთის), კორომხეთის და ვაიოს ღვინის მარნები (პრაქტიკული ტური)	7
ქედის ღვინის ტური - აჭარული ღვინის სახლი, დანდალოს და გეგელიძეების ღვინის მარნები, ქედაში ღვინის მწარმოებელი კომპანია KTW (პრაქტიკული ტური)	7
დასკვნითი შეფასება თეორიული ტრენერებთან	5
სულ	**70**

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს_____ლარს.

1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ტრენინგის დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე წინასწარ, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან შეთანხმებით უნდა შეიმუშაოს ტრენინგის ჩატარების ცხრილი, რათა აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ტრენინგზე დასწრების მსურველთა წინასწარი გაფრთხილება.

ბ) უზრუნველყოს თეორიული კურსის წაკითხვისას საკონფერენციო სივრცის ორგანიზება განთავსების ობიექტის საკონფერენციო დარბაზში.

გ) აწარმოოს სასწავლო ჯგუფების დასწრებისა და ტრენინგის ჩატარების კონტროლის ჟურნალი და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანოს შემსყიდველის წარმომადგენელი ან წარმომადგენელთა ჯგუფი.

დ) ტრენინგის მიმდინარეობის თითოეული დღისთვის უნდა უზრუნველყოს ლანჩი (მენიუ შეთანხმდება შემსყიდველთან).

ე) უზრუნველყოს ტრენინგის მონაწილეთა ტრანსპორტირება შესაბამის ლოკაციებზე (მუზეუმები, ტურისტული მარშრუტები, თემატური ლოკაციები შემსყიდველთან შეთანხმებით).

ვ)უზრუნველყოს ტრენინგისათვის პროექტორი და ლეპტოპი.

ზ)უზრუნველყოს შესაბამისი სერტიფიკატის დამზადება (ზომა, მასალა და დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით).

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის_____.

4. მომსახურების გაწევის პერიოდი და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 25 ივნისამდე, შემსყიდველის მიერ მიწოდებული გრაფიკის მიხედვით. ტრენინგის დაწყების ზუსტი თარიღი ეცნობება მიმწოდებელს.

4.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმში, შესაბამისი ტევადობის საკონფერენციო დარბაზში.

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება–ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება- ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
5.3.შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირ(ებ)ია_.

6. ანგარიშსწორება

6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
6.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ქვეკონტრაქტორი

8.1. ქვეკონტრაქტორის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
9.2. თუ მიმწოდებელი დროულად არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.3. თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა არაჯეროვანი შესრულება, გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და შემსრულებლისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრას აზრი არ აქვს, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.
9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განმარტებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

14.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ---------- ჩათვლით.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	*საიდენტიფიკაციო კოდი -*
ტელ: (+995) (422) 27 50 23	*ტელ:*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	*მისამართი:*
	საბანკო რეკვიზიტები:
დეპარტამენტის თავმჯდომარე	